

# ფინანსური ანგარიშგება და პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ

**შპს მორენა-პრო**

2022 წლის 31 დეკემბერი



# სარჩევი

|                                                                 |    |
|-----------------------------------------------------------------|----|
| პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ | 3  |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                              | 4  |
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება            | 5  |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება                      | 6  |
| ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება                          | 7  |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები                  | 8  |
| 1. ზოგადი ინფორმაცია                                            | 8  |
| 2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა                  | 8  |
| 2.1. წარდგენის საფუძვლები                                       | 8  |
| 2.2. მომზადების საფუძვლები                                      | 8  |
| 2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა                          | 8  |
| 2.4. ამონაგების აღიარება                                        | 9  |
| 2.5. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები            | 9  |
| 2.6. მოგების გადასახადი                                         | 9  |
| 2.7. ძირითადი საშუალებები                                       | 9  |
| 2.8. არამატერიალური აქტივები                                    | 10 |
| 2.9. აქტივების გაუფასურება                                      | 10 |
| 2.10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები                         | 11 |
| 2.11. კაპიტალი                                                  | 11 |
| 2.12. უცხოური ვალუტა                                            | 11 |
| 2.13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                | 11 |
| 2.14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                             | 11 |
| 2.15. ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება                     | 12 |
| 3. ძირითადი საშუალებები                                         | 12 |
| 4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                   | 12 |
| 5. ფულადი სახსრები                                              | 13 |
| 6. სესხები                                                      | 13 |
| 7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                                | 13 |
| 8. შემოსავალი რეალიზაციიდან                                     | 14 |
| 9. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება                      | 14 |
| 10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                           | 14 |
| 11. მოგება/(ზარალი) სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან            | 15 |
| 12. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები                             | 15 |
| 13. ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება                       | 15 |
| 14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები                   | 15 |
| 15. ფინანსური რისკის ფაქტორები                                  | 16 |

## პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის შესახებ

შპს გრანტ თორნტონ

ს/ნ: 200136600

საქართველო, თბილისი-0144

ქეთევან წამებულის გამზირი, № 1

ტ: + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

I/N: 200136600

54, Ketevan Tsamebuli avenue,

Tbilisi-0144, Georgia

T: + 995 322 604 406

შპს „მორენა-პრო“-ს ხელმძღვანელობას

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოვამზადეთ შპს „მორენა-პროს“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვასა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტის (დმსს) 4410 (გადასინჯული), „კომპილაციური გარიგებების“ შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ბუღალტერიასა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა დაგხმარებოდით ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. გარიგების შესრულებისას დავიცავით შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის: პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის.

წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანობაში და მისი მომზადებისას გამოყენებული ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ.

ვინაიდან, კომპილაციის გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გამოვხატავთ აუდიტორულ მოსაზრებას ან მიმოხილვის მოსაზრებას იმის თაობაზე, არის თუ არა მომზადებული ეს ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პაატა შურდია

თანამმართველი პარტნიორი

2023 წლის 30 სექტემბერი



Morena Pro LLC

Lisi Panorama 6, Tbilisi, Georgia

205295358

შპს მორენა-პრო

ლსი პანორამა 6, თბილისი საქართველო

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| ლარი                                      | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2022 | 31 დეკემბერი<br>2021<br>გადაანგარიშებული | 31 დეკემბერი<br>2020<br>გადაანგარიშებული |
|-------------------------------------------|----------|----------------------|------------------------------------------|------------------------------------------|
| <b>აქტივები</b>                           |          |                      |                                          |                                          |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>              |          |                      |                                          |                                          |
| გრძელვადიანი სასესხო მოთხოვნები           |          | 71,188               | 102,855                                  | 54,269                                   |
| არამატერიალური აქტივები                   |          | 499                  | 814                                      | 1,129                                    |
| ძირითადი საშუალებები                      | 3        | 232,767              | 191,562                                  | 215,888                                  |
| <b>მთლიანი გრძელვადიანი აქტივები</b>      |          | <b>304,454</b>       | <b>295,231</b>                           | <b>271,286</b>                           |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>              |          |                      |                                          |                                          |
| მარაგები                                  |          | -                    | -                                        | 1,354                                    |
| ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები    |          | 33,919               | 1,548                                    | 8,683                                    |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                | 4        | 532,562              | 400,128                                  | 513,391                                  |
| ფული და ფულის ექვივალენტები               | 5        | 68,683               | 67,110                                   | 179,166                                  |
| <b>მთლიანი მოკლევადიანი აქტივები</b>      |          | <b>635,164</b>       | <b>468,786</b>                           | <b>702,594</b>                           |
| <b>მთლიანი აქტივები</b>                   |          | <b>939,618</b>       | <b>764,017</b>                           | <b>973,880</b>                           |
| <b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>          |          |                      |                                          |                                          |
| <b>კაპიტალი</b>                           |          |                      |                                          |                                          |
| გაუნაწილებელი მოგება/ზარალი               | -        | 306,103              | 292,949                                  | 494,066                                  |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                   |          | <b>306,103</b>       | <b>292,949</b>                           | <b>494,066</b>                           |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         |          |                      |                                          |                                          |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები        | 6        | 221,055              | 76,035                                   | 76,035                                   |
| <b>მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |          | <b>221,055</b>       | <b>76,035</b>                            | <b>76,035</b>                            |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>         |          |                      |                                          |                                          |
| გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი    | 6        | -                    | -                                        | 39,166                                   |
| საგადასახადო ვალდებულებები                |          | 1,696                | -                                        | 4,876                                    |
| გადასახდელი ხელფასები                     |          | -                    | -                                        | 11,034                                   |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები             | 7        | 410,764              | 395,033                                  | 348,703                                  |
| <b>მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები</b> |          | <b>412,460</b>       | <b>395,033</b>                           | <b>403,779</b>                           |
| <b>მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი</b>  |          | <b>939,618</b>       | <b>764,017</b>                           | <b>973,880</b>                           |

## მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

| ლარი                                             | შენიშვნა | 2022 წელი        | 2021 წელი<br>გადაანგარიშებული |
|--------------------------------------------------|----------|------------------|-------------------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                         | 8        | 5,194,046        | 4,535,130                     |
| რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება          | 9        | (4,622,852)      | (4,218,037)                   |
| <b>მთლიანი მოგება</b>                            |          | <b>571,194</b>   | <b>317,093</b>                |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                | 10       | (389,020)        | (303,378)                     |
| <b>მთლიანი საოპერაციო ხარჯები</b>                |          | <b>(389,020)</b> | <b>(303,378)</b>              |
| <b>საოპერაციო მოგება / ზარალი</b>                |          | <b>182,174</b>   | <b>13,715</b>                 |
| ფინანსური შემოსავლები                            |          | 4,606            | 5,420                         |
| ფინანსური ხარჯები                                |          | (21,114)         | (11,174)                      |
| მოგება/(ზარალი) სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან | 11       | (18,792)         | (36,744)                      |
| სხვა არასაოპერაციო შემოსულობა (ზარალი)           |          | (162)            | 8,560                         |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                        |          | <b>146,712</b>   | <b>(20,223)</b>               |
| მოგების გადასახადის ხარჯი                        |          | (20,034)         | (31,300)                      |
| <b>საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი</b>         |          | <b>126,678</b>   | <b>(51,523)</b>               |
| სხვა სრული შემოსავალი                            |          | -                | -                             |
| <b>სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში</b>    |          | <b>126,678</b>   | <b>(51,523)</b>               |

## საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

| ლარი                                      | დაგროვილი<br>მოგება/ზარალი | მთლიანი კაპიტალი |
|-------------------------------------------|----------------------------|------------------|
| <b>2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით</b> | <b>494,066</b>             | <b>494,066</b>   |
| წლის მოგება/ზარალი                        | (51,523)                   | (51,523)         |
| <b>წლის მთლიანი შემოსავალი</b>            | <b>(51,523)</b>            | <b>(51,523)</b>  |
| დივიდენდები                               | (149,594)                  | (149,594)        |
| ოპერაციები მფლობელებთან                   | (149,594)                  | (149,594)        |
| <b>2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით</b> | <b>292,949</b>             | <b>292,949</b>   |
| წლის მოგება/ზარალი                        | 126,678                    | 126,678          |
| <b>წლის მთლიანი შემოსავალი</b>            | <b>126,678</b>             | <b>126,678</b>   |
| დივიდენდები                               | (113,524)                  | (113,524)        |
| ოპერაციები მფლობელებთან                   | (113,524)                  | (113,524)        |
| <b>2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით</b> | <b>306,103</b>             | <b>306,103</b>   |

## ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

| ლარი                                                                               |    | 2022 წელი       | 2021 წელი<br>გადაანგარიშებული |
|------------------------------------------------------------------------------------|----|-----------------|-------------------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                                    |    |                 |                               |
| წმინდა მოგება                                                                      |    | 126,680         | (51,523)                      |
| შესწორებები შემდეგი მუხლებისათვის:                                                 |    |                 |                               |
| ცვტა და ამორტიზაცია                                                                | 3  | 18,587          | 26,523                        |
| ფინანსური ხარჯი                                                                    |    | 21,114          | 11,174                        |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                          |    | 20,034          | 31,300                        |
| ფინანსური შემოსავალი                                                               |    | (4,606)         | (5,419)                       |
| მოგება / ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან                                   | 11 | 18,792          | 36,744                        |
| <b>საოპერაციო მოგება / (ზარალი) საბრუნავი კაპიტალის<br/>შეცვლამდე</b>              |    | <b>200,601</b>  | <b>48,799</b>                 |
| სავაჭრო და სხვა მისაღები მოთხოვნების ცვლილება                                      | 4  | (132,409)       | 104,591                       |
| ავანსებისა და სხვა მოკლევადიანი აქტივების ცვლილება                                 |    | (33,944)        | -                             |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების<br>ცვლილება                             | 7  | 15,731          | 90,776                        |
| გადასახდელი ხელფასების ცვლილება                                                    |    | -               | (11,034)                      |
| საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება                                               |    | 3,242           | (6,565)                       |
| <b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                                    |    | <b>53,221</b>   | <b>226,567</b>                |
| გადახდილი პროცენტები                                                               |    | (21,114)        | (11,174)                      |
| მიღებული პროცენტები                                                                |    | 4,606           | 5,419                         |
| გადახდილი მოგების გადასახადი                                                       |    | (20,034)        | (31,300)                      |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                             |    | <b>16,679</b>   | <b>189,512</b>                |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                  |    |                 |                               |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                                       | 3  | (69,477)        | (1,883)                       |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაცია                                                   | 3  | 10,000          | -                             |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                           |    | <b>(59,477)</b> | <b>(1,883)</b>                |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                                     |    |                 |                               |
| გაცემული სესხები                                                                   |    | (31,667)        | (48,060)                      |
| მიღებული სესხი                                                                     | 6  | 272,624         |                               |
| გადახდილი სესხი                                                                    |    | (140,813)       | (39,165)                      |
| გადახდილი დივიდენდები                                                              |    | (113,524)       | (177,368)                     |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</b>                              |    | <b>(13,380)</b> | <b>(264,593)</b>              |
| <b>ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა<br/>ზრდა</b>                    |    | <b>(56,178)</b> | <b>(76,964)</b>               |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო<br>პერიოდის დასაწყისისათვის    |    | 67,110          | 179,166                       |
| საკურსო სხვაობის ეფექტი ფულზე                                                      |    | 57,751          | (35,092)                      |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო<br/>პერიოდის ბოლოსათვის</b> |    | <b>68,683</b>   | <b>67,110</b>                 |

# ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მორენა-პრო წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე იურიდიულ პირს (რეგისტრაციისა და საგადასახადო ID: 205295358; რეგისტრირებული თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ). კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. კომპანია დაფუძნებულია 2009 წელს.

მისი ძირითადი საქმიანობის სახეს წარმოადგენს საექვედიტორო, საბროკერო და გადაზიდვის მომსახურება. ასევე ავტომობილების საბურავების საბითუმო რეალიზაცია. ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის კოდია 52290 და 45310.

კომპანიის პარტნიორები და მათი შესაბამისი წილები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

| პარტნიორი                    | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 |
|------------------------------|-------------------|-------------------|
|                              | %                 | %                 |
| სალომე დიდა, 01026011477     | 62.5              | 62.5              |
| რამაზი მორგოშია, 42001008787 | 37.5              | 37.5              |

2022 საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 13 ადამიანს (2021 წელს: 11 ადამიანი).

2022 საანგარიშგებო წლისთვის საქართველოსი მოქმედი შესაბამისი რეგულაციების მიხედვით კომპანია წარმოადგენს მესამე ზომითი კატეგორიის საწარმოს.

## 2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

### 2.1. წარდგენის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („მსს ფასს“), რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ („ბასს“).

### 2.2. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

### 2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.



## 2.4. ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება მის მიერ მომსახურების გაწევისა და საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლებისაგან.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა. ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით / სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორიცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.

## 2.5. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

## 2.6. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ახალი რეგულაციის მიხედვით, რომელიც 2017 წლიდანაა ძალაში, მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

## 2.7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა

ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის ექსპლუატაციაში მიღებიდან. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განისაზღვრება შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები, რომელიც შეესაბამება მისი გამოყენების ოპტიმალურ პერიოდს. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

|                          |                        |
|--------------------------|------------------------|
| ოფისის აღჭურვილობა       | 4 წელი                 |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი  | 4 წელი                 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 5-10 წელი <sup>1</sup> |
| შენობა-ნაგებობები        | 20 წელი                |

## 2.8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

## 2.9. აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეფასება, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება უდიდესი თანხით აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება. ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რომლის დროსაც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

## 2.10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები) ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

## 2.11. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების დაგროვილ მოგება-ზარალს.

ღივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

## 2.12. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აისახება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.7020 ლარს, ერთი ევროსათვის შეადგენს 2.8844 და ერთი აზერბაიჯანული მანათისთვის - 1.5924 ლარს. (2021 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.0976 ლარი, ერთი ევრო 3.5040, ერთი მანათი 1.8222).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით).

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

## 2.13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხორციელდება და დებიტორები არ იღებენ პროცენტს. ხოლო, როდესაც კრედიტი სცდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, დებიტორული დავალიანება ფასდება ამორტიზებული ღირებულების ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, ნაკლები გაუფასურების რეზერვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება იმის დასაზუსტებლად არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ თანხები არ არის ანაზღაურებული. თუ ასეა, დაუყოვნებლივ ხდება მიღებული ზარალის მოგება/ზარალში ასახვა.

## 2.14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველად აღიარდება ხდება სავაჭრო ფასით და შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულების ეფექტური პროცენტის მეთოდის

გამოყენებით. ისინი ნორმალური საპროცენტო პირობებით გამოიყენებიან და პროცენტი არ აქვთ.

## 2.15. ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

კომპანიამ წინა პერიოდის შეცდომები რეტროსპექტიულად გაასწორა მათი აღმოჩენის შემდგომ ამ ანგარიშგებაში: წინა პერიოდებში წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებით, სადაც შეცდომა იყო დაშვებული; ან თუ შეცდომა იყო დაშვებული უახლოეს წარმოდგენილ პერიოდამდე, გადაანგარიშდა აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის საწყისი ბალანსები უახლოესი წინა წარმოდგენილი პერიოდისთვის. ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც მოიცავს შესადარის ინფორმაციას წინა პერიოდისათვის წარმოდგენილია როგორც გასწორებული იმ პერიოდში, სადაც ამგვარი საჭიროება გაჩნდა. ამგვარად, თითოეულ წარმოდგენილ პერიოდთან დაკავშირებული შესწორებული რაოდენობა შედის იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებში.

## 3. ძირითადი საშუალებები

| ისტორიული ღირებულება                   | შენიშვნები     | ოფისის<br>აღჭურვილობა | ავჯი და<br>სხვა<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სულ             |
|----------------------------------------|----------------|-----------------------|------------------------------|-----------------------------|-----------------|
| <b>ისტორიული ღირებულება</b>            |                |                       |                              |                             |                 |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>               | <b>128,689</b> | <b>22,871</b>         | <b>8,833</b>                 | <b>127,816</b>              | <b>288,209</b>  |
| შესყიდვები                             | -              | 1,424                 | 460                          | -                           | <b>1,884</b>    |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>               | <b>128,689</b> | <b>24,295</b>         | <b>9,293</b>                 | <b>127,816</b>              | <b>290,093</b>  |
| შესყიდვები                             | -              | 2,274                 | 2,200                        | 65,000                      | <b>69,474</b>   |
| რეალიზაცია                             | -              | -                     | -                            | (10,000)                    | <b>(10,000)</b> |
| <b>31 დეკემბერი 2022</b>               | <b>128,689</b> | <b>26,569</b>         | <b>11,493</b>                | <b>182,816</b>              | <b>349,567</b>  |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>                 |                |                       |                              |                             |                 |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>               | <b>21,453</b>  | <b>11,928</b>         | <b>6,491</b>                 | <b>32,449</b>               | <b>72,321</b>   |
| ცვეთა                                  | 6,434          | 5,329                 | 1,664                        | 12,781                      | <b>26,208</b>   |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>               | <b>27,887</b>  | <b>17,257</b>         | <b>8,155</b>                 | <b>45,230</b>               | <b>98,529</b>   |
| ცვეთა                                  | 6,434          | 4,084                 | 423                          | 13,989                      | <b>24,930</b>   |
| გასული ძირ. საშალებების აკუმ.<br>ცვეთა | -              | -                     | -                            | (6,659)                     | <b>(6,659)</b>  |
| <b>31 დეკემბერი 2022</b>               | <b>34,321</b>  | <b>21,341</b>         | <b>8,578</b>                 | <b>52,561</b>               | <b>116,800</b>  |
| <b>წმინდა საბალანსო<br/>ღირებულება</b> |                |                       |                              |                             |                 |
| <b>01 იანვარი 2022</b>                 | <b>100,802</b> | <b>7,038</b>          | <b>1,138</b>                 | <b>82,586</b>               | <b>191,564</b>  |
| <b>31 დეკემბერი 2022</b>               | <b>94,368</b>  | <b>5,228</b>          | <b>2,915</b>                 | <b>130,255</b>              | <b>232,767</b>  |

## 4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყველა თანხა არის მოკლევადიანი, რომელიც წარმოშობილია არაუგვიანეს 6 თვისა. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია რეალურ ღირებულებასთან მიახლოებულ თანხად. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. 2022 წლის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნის თანხებში ასახულია დაახლოებით 139 დებიტორის მოკლევადიანი მოთხოვნა (2021 წელი - 55 დებიტორი). დებიტორული მოთხოვნის დაფარვა ხდება 15-30 დღის

განმავლობაში. ასევე, დებიტორთა გარკვეული რაოდენობა დავალიანებას ფარავს ერთი კვირის ვადაში.

## 5. ფულადი სახსრები

| ლარი                              | 31 დეკემბერი<br>2022 | 31 დეკემბერი<br>2021 |
|-----------------------------------|----------------------|----------------------|
| ნაღდი ფული საღაროში               | 209                  | 13,232               |
| საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში | 33,954               | 47,195               |
| საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში  | 34,520               | 6,683                |
| <b>სულ ფულადი სახსრები</b>        | <b>68,683</b>        | <b>67,110</b>        |

## 6. სესხები

| ლარი              | 31 დეკემბერი<br>2022 | 31 დეკემბერი<br>2021 |
|-------------------|----------------------|----------------------|
| სესხის პროცენტი   | 13,210               | 76,035               |
| სესხის ძირი თანხა | 207,845              | -                    |
|                   | <b>221,055</b>       | <b>76,035</b>        |

|                                             | სესხის<br>თანხა | გაცემის<br>თარიღი | დაფარვის<br>თარიღი | წლიური<br>ნომინალური<br>ი განაკვეთი | ნაშთი<br>31<br>დეკემბერი<br>2022 წელი | ნაშთი<br>31<br>დეკემბერი<br>2021 წელი |
|---------------------------------------------|-----------------|-------------------|--------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---------------------------------------|
| სესხი 1                                     | GEL 125,000     | 8/10/2020         | 8/10/2023          | 14.5%                               | 32,296                                | 76,035                                |
| სესხი 2                                     | USD 9,000       | 7/15/2022         | 7/23/2027          | 5.5%                                | 22,566                                | -                                     |
| ფიზიკური<br>პირისაგან<br>აღებული<br>სესხები | GEL 59,000      | 5/4/2022          | მოთხოვნამდე        | 18.80%                              | 66,354                                | -                                     |
| ფიზიკური<br>პირისაგან<br>აღებული<br>სესხები | USD 32,088      | 2/8/2022          | მოთხოვნამდე        | 6.70%                               | 99,839                                | -                                     |
| <b>სულ</b>                                  |                 |                   |                    |                                     | <b>221,055</b>                        | <b>76,035</b>                         |

კომპანიისთვის სესხის აღების მიზანს წარმოადგენდა ბიზნესის გაფართოვება.

## 7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებში ასახულია დაახლოებით 273 კრედიტორის კრედიტორული დავალიანება (2021 წელი - 72 კრედიტორი). კრედიტორული დავალიანების დაფარვა ხდება 15-30 დღის განმავლობაში. ასევე, კრედიტორთა გარკვეული რაოდენობის დავალიანების დაფარვა ხდება ერთი კვირის ვადაში.

## 8. შემოსავალი რეალიზაციიდან

| ლარი                                                                                               | 2022 წელი        | 2021 წელი<br>გადაანგარიშებული |
|----------------------------------------------------------------------------------------------------|------------------|-------------------------------|
| შემოსავალი საერთაშორისო გადაზიდვიდან და მასთან დაკავშირებულ საბროკერო საექსპედიტორო მომსახურებიდან | 4,805,200        | 4,198,550                     |
| შემოსავალი შიდა გადაზიდვიდან და მასთან დაკავშირებულ საბროკერო საექსპედიტორო მომსახურებიდან         | 388,846          | 336,580                       |
| <b>სულ შემოსავალი რეალიზაციიდან</b>                                                                | <b>5,194,046</b> | <b>4,535,130</b>              |

## 9. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

| ლარი                                               | 2022 წელი        | 2021 წელი<br>გადაანგარიშებული |
|----------------------------------------------------|------------------|-------------------------------|
| გეზის მომსახურება                                  | 7,931            | 2,945                         |
| საავიაციო გადაზიდვა                                | 91,432           | 108,743                       |
| საზღვაო ფრახტი                                     | 2,044,912        | 1,997,001                     |
| სახმელეთო გადაზიდვა                                | 1,918,005        | 1,405,056                     |
| საწვავის ხარჯი                                     | 49,634           | 21,893                        |
| მძღოლებისა და ბროკერების შრომის ანაზღაურება        | 27,831           | 27,188                        |
| მივლინების ხარჯი                                   | 1,540            | 2,088                         |
| სარკინოგზო მომსახურება                             | 9,641            | 32,494                        |
| სატვირთო ავტომობილების ცვეთის ხარჯი                | 4,192            | 4,192                         |
| სატვირთო ავტომობილების ექსპლუატაციის ხარჯები       | 16,503           | 9,662                         |
| სხვა საოპერაციო ხარჯი                              | 16,650           | 14,149                        |
| სატერმინალ მომსახურება                             | 434,581          | 592,626                       |
| <b>სულ რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება</b> | <b>4,622,852</b> | <b>4,218,037</b>              |

## 10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

| ლარი                                         | 2022 წელი      | 2021 წელი<br>გადაანგარიშებული |
|----------------------------------------------|----------------|-------------------------------|
| ადმინისტრაციული ხელფასი                      | 274,183        | 180,966                       |
| ცვეთის ხარჯები                               | 21,054         | 22,332                        |
| ბუღალტრული მომსახურების ხარჯები              | 13,641         | 14,647                        |
| წარმომადგენლობითი ხარჯები                    | 3,762          | 1,036                         |
| მივლინების ხარჯები                           | 715            |                               |
| კომუნიკაციის ხარჯები                         | 5,472          | 5,286                         |
| უსაფრთხოების ხარჯები                         | 246            | 813                           |
| ლოჯისტიკური მომსახურება                      | 333            | 435                           |
| ოფისის ხარჯები                               | 900            | 3,829                         |
| დაზღვევის ხარჯები                            | 16,654         | 15,676                        |
| კომპიუტერის ხარჯები                          | 1,708          | 1,881                         |
| საწევროს გადასახადი                          | 10,803         | 12,385                        |
| ბანკის საკომისიო                             | 12,720         | 9,048                         |
| ავტომობილის ხარჯები                          | 597            | 1,637                         |
| საიჯარო ქირა                                 |                | 1,993                         |
| საწვავის ხარჯები                             | 21,204         | 23,490                        |
| სხვა ხარჯები                                 | 2,275          | 3,301                         |
| საგადასახადო ხარჯები                         | 2,753          | 4,623                         |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>389,020</b> | <b>303,378</b>                |



## 11. მოგება/(ზარალი) სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან

| ლარი                                                        | 31 დეკემბერი    | 31 დეკემბერი             |
|-------------------------------------------------------------|-----------------|--------------------------|
|                                                             | 2022            | 2021<br>გადაანგარიშებული |
| ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით                 | (49,136)        | (50,067)                 |
| ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით            | 30,344          | 13,323                   |
| <b>სულ მოგება/(ზარალი) სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან</b> | <b>(18,792)</b> | <b>(36,744)</b>          |

## 12. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს შპს „დრესარიუმი“, რომლის დამფუძნებელიც, ისევე როგორც შპს „დრესარიუმი“-ს, არის სალომე დიდიას. აღნიშნულ კომპანიებს შორის გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულება, კერძოდ, სატრანსპორტო მომსახურება, რაც გულისხმობს შპს „მორენა-პრო“-ს მიერ შპს „დრესარიუმის“ პროდუქციის გადაზიდვას, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. მომსახურების ღირებულება განისაზღვრება საბაზრო ფასით.

წლის განმავლობაში კომპანიამ შპს „მორენა-პრო“-საგან შეიძინა 132,437 ლარის ღირებულების სატრანსპორტო მომსახურება. წლის ბოლოსთვის შპს „მორენა-პრო“-სთვის გადასახდელი თანხა შეადგენს 2,544 ლარს.

## 13. ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

ფინანსური ანგარიშგებს მომზადებისას მენეჯმენტმა აღმოაჩინა შეცდომა გამოწვეული გადაფასებით. შესაძარისი ოდენობების გადაანგარიშება წარმოადგენილი წინა პერიოდისთვის სადაც შეცდომა მოხდა ნაჩვენებია ქვემოთ:

| ლარი                                   | 31 დეკემბერი | გადაანგარიშება | 31 დეკემბერი               |
|----------------------------------------|--------------|----------------|----------------------------|
|                                        | 2021         |                | 2021<br>(გადაანგარიშებული) |
| გრძელვადიანი სასესხო მოთხოვნები        | 111,479      | (8,624)        | 102,855                    |
| მარაგები                               | 1,354        | (1,354)        | -                          |
| ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები | 3,824        | (2,276)        | 1,548                      |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები             | 415,021      | (14,893)       | 400,128                    |
| გაუნაწილებელი მოგება/ზარალი            | 243,183      | 49,766         | 292,949                    |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები          | 471,945      | (76,912)       | 395,033                    |

## 14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები არის როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც მოხდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და იმ თარიღამდე, როდესაც ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა რაიმე მოვლენა რაც გამოიწვევდა ამ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თნხების დაკორექტირებას ან მოითხოვდა დამატებითი ახსნა-განმარტებების წარმოდგენას.

## 15. ფინანსური რისკის ფაქტორები

### *საბაზრო რისკი*

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკებს, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

### *უცხოური ვალუტის რისკი*

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. საკურსო სხვაობები ძირითადად წარმოიშობა კომპანიის სესხებიდან და იჯარასთან, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარში.

### *საპროცენტო განაკვეთის რისკი*

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია არ ექვემდებარება მატერიალური საპროცენტო განაკვეთის რისკს.

### *ლიკვიდურობის რისკი*

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.